ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 84

29 მარტი
"---" -------- 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ლევან ჟორჟოლიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ" ქვეპუნქტის, 42-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი"-ს მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, აგრეთვე, „ლევან ჟორჟოლიანის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსად დანიშვნის შესახებ" საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2024 წლის 11 მარტის №112 ბრძანების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს - ლევან ჟორჟოლიანს ვადამდე შეუწყდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება 2024 წლის 12 მარტიდან.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე